საიდ. №75492/03

IR 1187011

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №26-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჯეითი ინტერნეშენელ ს.ა.” (JT International S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №26-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №308/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRY PACK” (საიდ. №75492/03 IR 1187011) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 12 იანვრის №308/03 ბრძანებაზე

თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს "TRY PACK" არა აქვს განმასხვავებლობა განცხადებული საქონლის მიმართ, ვინაიდან შედგება სტანდარტული (არასტილიზებული) შრიფტით შესრულებული სიტყვებისაგან, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „საცდელი შეფუთვა“ და ჩვეულებრივი დონის მომხმარებლისათვის მიუთითებს საქონლის დანიშნულებაზე. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” და „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჯეითი ინტერნეშენელ ს.ა.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, საქართველოზე გასავრცელებლად წარმოდგენილ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „TRY PACK” საკმარისი განმასხვავებლობა გააჩნია და ის არ მიუთითებს მხოლოდ 34-ე კლასის განცხადებული საქონლის დანიშნულებაზე. აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშანი „TRY PACK” აღქმული უნდა იქნას, როგორც ფანტაზიურ სიტყვათა კომბინაცია სიგარეტებისათვის, რადგან არ წარმოადგენს გავრცელებულ და ხშირად გამოყენებულ სიტყვებს სიგარეტისათვის. საჭიროების შემთხვევაში აპელანტი თანახმაა სიტყვა „Pack“-ის დისკლამაციაზე. აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა 34-ე კლასის საქონლისათვის შემდეგ ქვეყნებში: ევროპის გაერთიანება, ისლანდია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მონტენეგრო, ნორვეგია, სერბეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, შვეიცარია, რუსეთი. მხოლოდ რუსეთში იქნა მიღებული გადაწყვეტილება

სიტყვა „PACK”-ის დისკლამაციაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №308/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRY PACK” (საიდ. №75492/03 IR 1187011) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „ არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ”. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „TRY PACK”, არ წარმოადგენს არგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 34-ე კლასის საქონლის მიმართ, რადგან ნიშანში გამოყენებული სიტყვათა კომბინაცია ერთიანობაში სძენს ნიშანს ფანტაზიურ ხასიათს და არ მიუთითებს საქონლის დანიშნულებაზე. კერძოდ, ცალკე აღებული სიტყვა „TRY” ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ცდა“, ხოლო მეორე სიტყვიერი აღნიშვნა „PACK” ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „ფუთა“, „შეკვრა“ „შეფუთვა“. სიტყვა „PACK” ასევე, ინგლისურ ენაზე აღნიშნავს ერთ ცალ სიგარეტის კოლოფს. სასაქონლო ნიშანი „TRY PACK”, შესაბამისი

სიტყვათა კომბინაციით არ აღწერს საქონელს და 34-ე კლასის საქონლისათვის სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანი არის ფანტაზიური. კოლეგიის აზრით, განცხადებულ ნიშანს უნდა მიენიჭოს დაცვა მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „PACK" ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRY PACK" (საიდ. №75492/03 IR 1187011) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯეითი ინტერნეშენელ ს.ა." (JT International S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" N308/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „TRY PACK" (საიდ. №75492/03 IR 1187011) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, სიტყვიერი აღნიშვნისთვის „PACK" დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

მ. ჭიჭინაძე